



უსაპი ბროლის ციხესა, თავ-ბოლო გამაგრებულსა.
ამირან შესვა ღრუბელსა, საეტროდ დამზადებულსა.

ამირანი და მისი ძმები სანადიროდ იყვნენ. ცხრა მთა გადაიარეს, გადავიდნენ მეათე მთაზე და გადინადირეს. უცებ უზარმაზარი ტანის და უზარმაზარრქიანი ხარირემი გამოუხტათ. გაიწყო ირემმა რქები ზურგზე და ჰერი! ესროლა ამირანმა და დაჭრა ირემი:

სანადიროდ გამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი,
გადიარეს ცხრანი მთანი, მეათენი ალვეთისნი,
მინდორს კვალი მიუკვლიეს, დანაჭრილნი ეშმაკისნი,
მთის ირემი წამოუხტათ, ოქროს იყო რქანი მისნი.
შვიდი დღე-ღამე იარეს, არა ქონდა მათ გულს შიში,
უცხო მთაზე კოშკი ნახეს ანაგები ბროლის ქვისი.
მოუარეს გარემოუკვლიდ ვერ იპოვეს კარი მისი.
სადაც რომ მზემ პირი მოჰკრა, ამირანმა მუხლი მგლისი,
კოშკმა პირი იქ გააღო, იქ შეება კარი მისი,
კოშკში ლომი წოლილიყო, მომრევ არვინ იყო მისი,
იმის თავით რაშიება, ტორით მიწას თხრიდა ისი,
მარცხნივ რომ შუბი ეკიდა, წვერი ცასა ხვდა მისი,
მარჯვნივ ედო თავის ხმალი, პირი ჰქონდა ალმასისი,
ერთ კუთხეში ოქრო-ვერცხლი ნაგროვები ცამცუმისი,
გვერდით ეჯდა თავის დედა, ცრემლად დასტიროდა შვილსა,
თავით ერთი ქალი ეჯდა, ზღვას ერევა ცრემლი მისი,
თითებსა და თითებს შუა წიგნი ჰქონდა ქაღალდისი,
წაიკითხავს მიგ ეწერა: დისწული ვარ უსაპისი.
სანამ ვიყავ მტერი ვმუსრე, არ შევჭამე ჯავრი სხვისი.
მოვკვდი, მხოლოდ ჯავრი გამყვა ერთი დევის ბაყბაყისი.
ვინც მოკლავს ბაყბაყანსა, ჩემი შუბი ალალმისი,
ვინც დედ-მამას დამიმარხავს, ჩემი კოშკი ალალმისი,
ვინც მე მომიელის დამმარხავს, ცოლიც, რაშიც ალალმისი!

ამირანმა წიგნი რომ წაიკითხა უთხრა ძმებს: ხომ მოვკლავთ და მოვკლავთ იმ ბაყბაყდევს. ბარემ ეს სარჩოც წავიღოთ და ეს ქალი და რაშიც წავიყვანოთო. მაინც ხომ ანდერძიც ასეაო. ძმებმა დაუშალეს, სირცხვილია, ვინ რას იტყვისო:

ნუ ამირან, ძმათა მზესა, ნურა გინდა ნურავისა,



გაშალე და გამოხურე საყდარი და კარი მისი,
თორემ გმირნი დაგვძრახავენ: მკვდარი გაუძარცვავთ სხვისა!

მკვდარს მოუარეს, დამარხეს, გამოხურეს კოშკის კარი. წავიდნენ ბაყბაყდევის საძებნელად. ამირანს ომი სწყუროდა, დიდი ხანი იყო გასული რაც თავი არ ეცადა. მართლაც, გზაზე ბაყბაყდევი შემოხვდათ. გუგო ცამცუმი მომკვდარი და მიდიოდა მის შესაჭმელად.

დევი ლინჯად მიაბიჯებს დედამიწა შეძრესა.

ამირანმა შეუტია დევს: — ჰეი, შენ ვინა ხარ, საით მიდიხარ,
მე აყროლებულო, სათკენ მიეჩქარები?
— შენ ჩემს სახელს რად კითხულობ, ვინა ვარ და სად მივალო.
უსაპის დისწული ცამცუმი მომკვდარა, იმის მძორის
საჭმელად მივალო, — უპასუხა დევმა.

ამირან, დევი ბაყბაყი ჩასაუბრობენ მტრულადა,
ხმალზე ხელი აქვს ამირანს, ცხარე ომი აქვს გულადა.

— შენ ადამიანს არვინ შეგაჭმევს, ტყუილად მოეხეტებიო.
— მაშ შენ დამიჭერ გზასაო? — უპასუხა ბაყბაყდევმა დაცინვით.
ეძგერა ამირანი და დაიწყეს ცხარე ომი.

ამირან დევი შეიბნენ, მიწას გაჰქონდა გრიალი,
ამირანმა დევი დასცა, ადგილი შეხვდა ქვიანი,
დასცა და მხარი მოსტეხა, დაიწყებინა ღრიალი.

დევი შეშინდა და შეეხვეწა:

ნუ მომკლავ, დარეჯანის ძევ, ხელი გაუშვი ხმლიანი,
მანდილი დედიმენისა, თაკლაი ოქროიანი,
ზღვას გაღმა ქალი გასწავლო, სახელად ყამარ ჰქვიანი,
საყამაროსა კაბასა შვიდი დღე უნდა მზიანი,
შვიდკვირეული საპონი, შვიდმეტი კოკა წყლიანი,
წასვლა ადვილი იქნება, მოსვლა გაბდება გვიანი,
მოყვარეული ხარ იმისა, გზა იქ გექნება მტრიანი,
თან მიკრიკს გამოგაყოლებ, ვაყა ლალატიანი.




უნდოდა ამირანს ისევ ცოცხალი გაეშვა ბაყბაყდევი, მაგრამ ძმებმა უთხრეს, თუ არ მოკლავ ცუდ საქმეს გვიზამს, დევი არ დაიზავებაო. ბაყბაყი სამთავა იყო. ამირანმა უსმინა ძმებს, ორი თავი მოსჭრა. მესამესაც რომ დაუპირა მოჭრა, ბაყბაყდევმა სთხოვა: — ხომ მკლავ და ჩემი თხოვნა არ შეისმინე, ეს მაინც აასრულე — ჩემი თავებიდან სამი ჭია ამოძვრება და იმათ ნუ დახოცავო. მოსჭრა ამირანმა მესამე თავიც, ბაყბაყდევის თავებიდან მართლაც სამი ჭია ამოძვრა, უსიპმა უთხრა ამირანს: — რაკი ერთი ჭირი მოიშორე თავიდან, ძმაო ამირან, ბარემ მეორეც თან გააყოლე. ეგ ჭიები სასიკეთოდ არ ამოძვრნენ დევის თავებიდან, მოდი, ესენიც დახოცე. — რას ამბობ — უპასუხა ამირანმა, — დევმა რა მაყო, ჭიები რას მიზამენ, — ჭამამ რა მიყო, ლოცვამ რა მიყოსო; ეს ერთი თხოვნა ხომ აგისრულე, ერთიც დევისთვის ამისრულებიაო. არ დახოცა ჭიები, გაანება თავი. — მაშ რაც იმ ჭიებმა გიყონ, მე უბრალო ვიყო, — მოიხადა ბრალი უსიპმა. რაკი ბაყბაყდევი მოკლეს და მოიშორეს, ამირანმა უთხრა ბაყბაყანის მოცემულ შიკრიკს:

აბა, შიკრიკო, გვასწავლე გზა ყამარისკენ სავალი.

აჩქარდი ფეხი ააჩქარეო. გაუძღვა შიკრიკი, ბევრი იარა. იარეს მრავალი დღე და ღამე, მაგრამ შიკრიკი ერთ გზას რომ გამოატარებდა ძმებს, დააბრუნებდა სხვა გზით და იმავე წაიყვანდა. უნდოდა იმათთვის გზის არევა და დახოცვა. უსიპმა შეიტყო შიკრიკის ღალატი და გავლისას ერთ კუნძს ისარი დაკრა. მართლაც, მეორე დღეს შიკრიკმა იმავე გაატარა. უსიპმა თავისი ისარი დაინახა, აემღვრა სისხლი. გაუშვირა ხელი ამირანს ისრიანი კუნძისაკენ და უთხრა:

ვერ გაგიგია ამირან, არ გამარჯვების ნიშანი,
მესამედ იქვე მოვედით გუშინ რომ დავკარ ისარი.

ამირანი გაჯავრდა და შიკრიკს შეუტია:

შიკრიკო გზანი გაიხვენ, თუ არ ხარ თავის მისანი,
თორო აგილე, გაგთალე, რო საკიდობნე ფიცარი!

გაუძღვა შიკრიკი ძმებს და გაიყვანა ერთ ტრიალ მინდორზე. გაიხედა ამირანმა და დაინახა, რომ ის სამი ჭია ბაყბაყდევის







თავებიდან რომ ამოცოცდნენ, გველეშაპებად ქცეულიყვნენ.
ერთი თეთრი იყო, ერთი — წითელი და ერთიც — შავი.

მინდორში სამნი ჭიანი მოდიან, მოიმღერიან,
თვალს უცემს დარეჯანის ძე, — მაგათთან იმა მწადიან,

ამირანმა უთხრა ძმებს: — აბა ძმებო, მეტი ღონე აღარ არის,
უნდა მაგ გველეშაპებს შევებათ. თეთრი — ბადრის,
წითელი — უსიპს, შავი ჩემად გინებებიათ.
— თეთრიც შენა და წითელიც, შავიც შენი ნაყოფიაო.
— უპასუხა უსიპმა, — აკი გეთხარი ინანებო; შენი გაფუჭებული
საქმე შენვე გააკეთე, შენი გაძრუღებული გზა შენ გაასწორეო.
— კაი, უსიპო, უსიპო! — უთხრა ამირანმა.

უსიპო, ჩემო სამეხთლე, სულ მუდამ გულში გდებია,
ტვინი სადები თავშია, ჩამალაზშია გდებია.

— მაშ შენ მაინც მომეშველე, ბადრო, შეევედრა ბადრს
ამირანი, მაგრამ ბადრიც უარზე დადგა. მაშინ ამირანმა
დანანებით უთხრა ბადრს:

მაშინ სად იყავ, შავ ბადრო, რო ჩემი ხმალი წრთებოდა,
ცა ჭექდა, მიწა გრგვინავდა, სამჭედლო ექანებოდა,
მჭედლები, მეჭედურები, ერთმანეთს ეფარებოდა.
არა ჰკორვილბარ, ძმავ ბადრო, ფერი აქატი გქონია,
დაჯე და ჰკერე ტყავები, სხვა ხელი არა გქონია.

— კიდევ სთხოვა უსიპს მომეშველენითო, მაგრამ
უსიპმა უარი თქვა:

— შენისა ცოლის გულისთვის სულ ძმები დაგველიენით.

მაშინ ამირანი თავის აბჯარს მიუბრუნდა და უთხრა:

— ჩემო ხმალო და აბჯარო სასალევდ მომეშველენით.

მარტომ დაუწყო იმა გველეშაპებს.

თეთრი მოკლა და წითელი, შავსა შეება მაშვრალი.





გაიზედა ამირანმა და დაინახა, ბადრი და უსიპი
გადადიან მთაზე. დაუძახა:

რომელი მიხვალთ მა მთასა, რომელი მიჰყვეთ მა გზასა,
თეთრიც მოჰკალ და წითელიც, ნუღარ გადივლით მა მთასა.

შეება შავ გველეშაპს დაღალული და დამაშვრალი.

შავმა აილო ჩაყლაპა, შავი ზღვისაკენ გასწია.

ჩაყლაპა შავმა გველეშაპმა და გასწია თავის დედისაკენ.
რაკი დაინახეს ძმებმა ამირანს უჭირსო, მაშინვე გაიქცნენ
ძმის საშველად. დაეწივნენ ქარცეცხლს, ესროლა უსიპმა
და ცხრა ადლი კუდი მოაწყვიტა. ქარცეცხლს ისე
მოწყვეტილი კუდი არ სტკიოდა, როგორც ჩაყლაპული ამირანი
აწუხებდა მუცელს. დარეჯანის ძე უგლეჯდა გულ-მუცელს.
ქარცეცხლს ერთი რკინის დედაბოძი ქონდა, როცა ვინმეს
ჩაყლაპავდა, მივიდოდა, შემოეხვეოდა იმ ბოძს,
დამტვრევდა და მოინელებდა. ახლაც ამირანის დამტვრევა
უნდოდა. შემოეხვია ბოძს, მაგრამ კუდი პირამდე აღარ მისწვდა.
მივიდა დედასთან ქარცეცხლი და შეხჩივლა:
— მუცელი მჭვრეტს, ცეცხლი მეკიდებაო.
— ვაიმე შვილო, თუ დარეჯანიანი ვინმე ჩაყლაპე იმათ
კაცს შენ ვერ მოინელებო. რა კაცი იყო, რა ფერი ჰქონდაო?
— საცერივით თვალები ჰქონდა და შუბლმზიანი იყო,
ერთი ოქროს კბილი ედგაო.
— ამირანი ყოფილა, შვილო, დარეჯანის ძეო.
ამირანს ჯიბეში ღმერთის ნაბოძები ალმასის დანა ედვა,
მაგრამ არ მოაგონდა. ბოლოს უსიპმა უთხრა ბადრს:
— ძმაო, ჩასძახე, დანა მოაგონეო:

ჩადი ბადრო და ჩასძახე ხმა შენი მშვენიერია.
მაუდის დარეჯანის ძეთ ჯიბეს ჩადება დანისა,
ამოღება და გამოჭრა მაგ შავის გველეშაპისა!

ბადრმა ჩასძახა:

ამირან ალამ-ჩალამა, მუხლსა ჩაგედვა ხანჯალი!







მართლაც მოაგონდა ამირანს დანა. ამოიღო, გამოჭრა
ქარცეცხლს მუცელი და გამოვიდა. მაგრამ წვერი და თმა კი
გასცვენოდა. უსიპმა შეხედა გაქისვებულ ამირანს და დასცინა:

ამირანი დაიბადა, გოჭსა ჰგავდა ხახულისა,
წვერ-ულვაში გასცვენოდა, ჩაჰყარა ტომარასა.

ეწყინა ამირანს უსიპის სიტყვა და გაჯავრებულმა უპასუხა:

ისევ ვაჯობ ამირან, გუშინ რომ ჩამოქარობდა,
არცა რა ბეწვი ტანთ ეცვა, არცა რა მკლავთა ჰფარობდა,
კაცი გამოვა კაცობრი, წვერი არ დააკაცებსო,
თხასაც ასხია ბალანი, მაზმანი დააფასებსო.

შენ ძმა კი არა ჩემი მოსისხლე მტერი, ჩემი ძირის მოხრული
ყოფილხარო, — უთხრა ამირანმა უსიპს. მტერიც არ მიზამდა
იმას რაც შენ მიყავი. მუდამ მღალატობ, მუდამ ჩემი
მარცხი და ღალატი გიძევს გულში. მტერს ვებრძოდი, არ
მიშველე, მიმატოვე. დამანებე თავი. მტერმა ჩამყლაპა
თავი არ შეიხვეე მავით; მტერს გადავრჩი და ახლაც
დამცინით. მე არც თქვენი ძმობა მინდა და არც მტრობაო:

არც მინდა შენი ლუშიო, ნურცარას შემომშვენებიო.

ან მე მოგშორდებით ან თქვენ უნდა მომშორდეთო.
— ნუ გეწყინება ძმაო ამირან, უსიპის სიტყვები, გულად
ნუ მიუშვებ, ხომ იცი უსიპი როგორი კაციაო:

მინდორზე გადავლილი დავკრიფე ვარდი, სოსანი,
ამირან, ნუ გეწყინება, სხვებიც არიან ქოსანი,
თხასაც ასხია ბალანი, ჩალად არა ღირს თმისანი...

წვერ-ულვაშზე ნუ იჯავრებ, ივრის პატრონთან ჩავიდეთ,
ის გაგიკეთებს, როგორიც გინდა. ივრი ცოტა ავი კაცია, იმის
კარებზე რომ მიხვიდე, „ივრი პატრონო" დაუძახე, თორემ არ
გაგიკეთებსო, — დაარიგა ბადრმა ამირანი.
წავიდა ამირანი, მივიდა ივრის სახლის ბანზე და საკომლიდან
ჩასძახა: ივრი, ივრი, კარში გამოდიო! ივრი ხელკვერიანი
ამოუვარდა ამირანს და შეუტია:





— ვინ მოთრეულხარ, რომ „იგრი პატრონის" დაძახებასაც არ ჰკადრულობი! — მერე კი იცნო, რომ ამირანი იყო და ენა ჩაუვარდა, — რა გინდა, ამირან, ჩემი თავი რაში დაგჭირდა, მე მეღამ შხიდ ვარ, სამსახური აგისრულო, — უთხრა იგრიმ დარეჯანის ძეს. — ხომ ჰხედავ, წვერ-ულვაში გამცვივნია, შენ თუ გამიკეთებო, — უთხრა ამირანმა. — მე ხელმწიფის ყმა ვარი, — უპასუხა იგრიმ, — და სანამ იმის ბრძანებას არ მომიტან, წვერს ვერ გაგიკეთებო. ამირანი წავიდა ხელმწიფესთან ბრძანების მოსატანად, მაგრამ ხელმწიფემ ვერ იცნო გაქისავებული ამირანი და დაითხოვა:— გასწი, გაეთრიე. ვინ მოთრეულხარ, ბრძანება ვის უნდა მოგცე, მე რა ვიცი, შენ ვინა ხარო! — თუ ნებით არ მომცემ, ძალით წავიღებო, — უთხრა ამირანმა. წასწვდა, წაგლიჯა თავი, გამოახვია კალთაში, წამოუღო იგრის, გაუგორა და უთხრა: ესეც შენი ბრძანება, ჩქარა საქმეს შეუდექიო! იგრი რაღას იზამდა, მაშინვე გაუკეთა მშვენიერი წვერ-ულვაში და გაისტუმრა.
ძმები წვეოდნენ ყამარის საძებნელად. ათასი თავგადასავალი გადახდათ, ათასგან იომეს, ათასგან დაღვარეს სისხლი. ბოლოს მოსწყინდათ სისხლის ღვრაც. გარეთ უსაზღვროდ ყოფნაც და თქვეს: -რას დავდივართ ნადირებივით, დათვსაცა აქვს თავისი ბინა და ჩვენ კი, — იამანის შვილებს, არა გვაქვსო. ვიშოვოთ სახლი, დავბინავდეთ, ოჯახს მოვეკიდოთო. უსიპმა ურჩია ამირანს: იქ ჩავიდეთ, გუშინ რომ ვიყავით, ქორწილი, რომ ჰქონდათ დევებსაო.

ა, იქ ჩავიდეთ, ამირან, გუშინ რომ ქარი ზვიოდა,
დევებსა ჰქონდათ ქორწილი, სიმღერა ამოდიოდა,
შეგვეპატიჟეს, შევედით, ამირანს პური შიოდა,
დედობილების ნაცხობი ქადა კეცებში შხიოდა,
შამაჭრეს, შამაყვნეს კაცის თავ-ფეხი დიოდა,
სადევნით ღვინო მოგვართვეს, შიგ გველ-ბაყაყი წიოდა.
უსმელ-უჭმელად დავძეხით, ყელშიაც ამოგვდიოდა.
ამირანს შემოუხედნიდით, ცრემლები ჩამოსდიოდა.
პატარა შვილი მამასა ლოგინით წამოჰკიოდა:
აკი მას მიქადებდია, ამირანს მოგაკვლევინებ,
ბადრისა წითელთ გოლითა სადილად დაგახვრევინებ,
უსიპის ქამარ-ხანჯალსა წელზე შემოგარტყმევინებ!
მამამ შვილსა ჰკრა პირშია, სისხლ წავა დასადინარად.



დევებმ დაიწყეს სიცილი ამირანის დასამშვიდებლად
ყმაწვილის საუბარზედა, ამირან ომი გინდა რაღ?!
თხორის სძახდა დევების დედა, ჯარა-ხეიმტაკი ბჯიოდა,
ამირანს მაგათ ხუცილი ფოთელად არ შემოსდიოდა,
ბადრი ქარს ჰგვანდა ფერცელსა, ცაშითი ჩამოდიოდა,
უსიპს დასკვლევდი, ღნებოდა, დაკვლევით სადამ ჰქრიოდა!

სანუკნო სახახლე ის არიო, — უთხრა ამირანმა ძმებს, — თქვენ გამომყევით და მე ვიცი და იმ დევებმაო. ამირანმა წაიყვანა ძმები და ცხრა ძმა დევის კარზე მიიყვანა. დევები ძალიან გახეიძნებულები იყვნენ, ერთი უზარმაზარი ოჯახი ჰქონდათ, უთვალავი ქალი და რძალი ჰყავდათ, ბალღები და მოხუცებულები. შუადღე ოღებელი სუფრა ედგათ, არც მუშაობდნენ და უქმად ეყარნენ. მათი შიშით ზეცაში ფრინველი და მიწაზე სულიერი ვერ გაივლიდა. ამირანი მივიდა დევების კარზე. ერთმა ქალმა დაინახა და დევებს უთხრა: აქ ვიღაც კაცი მოსულა, კარზე დასეირნობს და აინუნშიაც არ აგდებს, თუ თქვენ აქ ხართო. დევებმა თქვეს: ის თუ იქნება, დარეჯანის ძე იქნებაო, სხვა აქ ვერავინ მოვიდოდაო. გამოუზავნეს ერთი ქალი და უთხრეს: გადი, გაუარ-გამოუარე, გაუცინე და ეგება იმანაც გაგიცინოსო. თუ ოქროს კბილი გამოუჩნდა, შემოდი, შეგვატყობინე, თადარიგი უნდა დავიჭიროთ, თორემ დარეჯანის ძე ადვილი სასტუმრო არ არისო. გამოვიდა დევის ქალი, გაუვლის და გამოუვლის ამირანს, გაუვლის და გაუცინებს. ამირანმა უთხრა:

რას მიცინი, დევის ქალო, რას მიღლევ თეთრისა პირსა,
გამივლი და გამომივლი გამიხინჯავ ბაგე კბილსა?
შორისა გზაზე მავალი ვარ, დავკარგე და ვეძებ ვირსა,
დღეს დავკარგავ, ხვალ ვიპოვი, ჩემი ბედი ასე სვრისა.

ქალი შევიდა შინ და მოახსენა დევებს, რომ ოქროს კბილი აქვს ამ კაცს, და საცერივით თვალები, ვირები დაუკარგავს და იმათ ეძებსო. სანამ ქალი ლაპარაკს გაათავებდა და დევები იარაღს აისხამდნენ, ამირანი შეუვარდა დევებს და შეუძახა:

ვაკოკაცო, გველოვანო, ლეინისფერო, მცინარეო,
ხმლის სიმოკლე რას დაგიშლის, ფეხი წადგი წინარეო.





დაკრა თავისი მოკლე ხმლით და სულ ერთიანად ამოჟლიტა. დევების სისხლით სახლი ჭერამდე აივსო. სისხლის გუბე ყელამდე მოადგა ამირანს. შეკრთა, შეკუთდა და დაიხრჩობოდა კიდეც, რომ ბედისაგან გაწირული ყოფილიყო. ამირანი ამ ყოფაში იყო, მიიწ-მოიწია, მისძრა-მოსძრა სისხლის ტბა, შველა აღარსაით იყო. თავისი ნახოცი დევების სისხლში იბრწიბოდა ამირანი. მოაგონდა ყამარი, დაიქნია თავი და თქვა:

მოუღალე გმირის მარჯვენა ამდენი იმში ქნევითა,
ჯაჭვის კალთები დამიცვდა ამდენი სისხლში რევითა,
ვაიმე, ჩემო ყამარო, ვერ გავძებ შენის ხვევნითა.

ბედად, სისხლში ერთი დაჭრილი დევი ფართხალებდა ამირანის ახლოს. ამირანი დასწვდა დევს, ესროლა კარს და გაამტვრია. სისხლმა ერთი დაიქუხა და ბურთივით გამოვარდა გარეთ. ამირანს რაკი მოშორდა სისხლი, მხრები გაიწია, გაიბერტყა და თავისუფლად ამოისუნთქა. ძმებმა გაწმინდეს დევების სასახლე, მიალაგ-მოალაგეს, და დაიწყეს შიგ ცხოვრება. მაგრამ ამირანს დიდხანს ვერ დაუდგა გული სახლში, ყამარი ელანდებოდა სიზმარშიც და ცხადადაც.
ბადრს თეთრონი სთხოვა: უნდა მათხოვო შენი თეთრონი, ყამარის წამოსაყვანად წავალ, თქვენ თუ წამოხვალთ და ასეთ სიკეთეს მიზამთ, ზღვის გაღმა მომიცადეთ, ზღვას გავალ და მე მოვიყვანო:

ბადრო, მათხოვე თეთრონი, ზღვაში გავიდე ნგრევითა,
გავიდე, გამოვიყვანო, ქალია თეთრი, მზე ვითა,
თან ყურძენ გამოვიყოლო, ტკბილია, დედის რძე ვითა.

ათხოვა ბადრმა თეთრონი, ძმებიც გაჰყვნენ და წავიდნენ ყამარის მოსაყვანად. ამირანმა ძმები ზღვის გაღმა დატოვა, თვითონ კი თეთრონზე შეჯდა და შევიდა ზღვაში, გაიპო ზღვა, გავიდა გაღმა და გაეშურა ყამარისაკენ. გაიარა გზა და მიადგა ყამარის კოშკს, კოშკი ზეცაში ჯაჭვით იყო ჩამოკიდებული. ყამარს დედ-მამა ცაში ჰყოლოდა. თვითონ მარტოკა იყო, სარკმელთან იჯდა და ჭურჭელს რეცხავდა. ავიდა თეთრონით ამირანი სარკმელთან და შესძახა:
— ჩამოდი, ყამარო, ჩვენსა წავიდეთ.





— ამოდი, ცოტა შეისვენე, მეც ჯამ-ჭურჭელს დავრეცხავ და მერე წავიდეთ, — ჩამოსძახა ყამარმა.
ამირანმა დააბა რაში და თვითონ ყამართან ავიდა.
ყამარმა დარეცხა ჯამები და ამირანს უთხრა: — შენ კი დაიწყვე, ფრთხილად დაალაგე, არაფერი გატეხო.
აწყობს ამირანი ჯამებს და ერთი ჯამი, რამდენჯერაც პირქვე დასდგამს, იმდენჯერ გადმობრუნდება გულაღმა.
გაბრაზდა ამირანი დაჰკრა წიხლი ერთ ჯამს და დაამსხვრია.
გატყდა თუ არა ჯამი, მთელმა მთელს უთხრა, ნატეხმა ნატეხს, დაიდგა ერთი ჟრიამული და ხმაურობა, აიშალა ჭურჭელი და სულ ერთიან გაჰწია ცისაკენ, ყამარის მამისაკენ: ყამარი მოიტაცეს, დაგვეკარგა. მიუშველეთ, მდევარი, მდევარი!
— ის ჭურჭელი ჩვენ კარგს არ დაგვაყრის. მამაჩემი გამოგვედევნება, ადვილად ვერ გადავურჩებით. ამირანი მიუბრუნდა ყამარს:

ადე, ყამარო, ჩაიცვი, შენი სამზნელი დღეა.

ყამარმა:

ვერ მოგენდობი ამირან გეტყვიან ლალატიანსა,
იმით, რომ აბჯარდიდი ხარ, სიკვდილად გაბდი დაიცსა.

ამირანმა უპასუხა:

ყამარო შენგან მოველი ასი ბალახნის შოვნასო,
თუ გამომყვები, გამომყევ ხანი არ ძალუძს ყოვნასო.
ზამთარი მომავალია, მთანი დაგვიწყებს თოვნასო.

ყამარს კაბა დარჩა:

ამირან მანდვე ჩამოდი, სად უმაღლესი კლდე არის,
კარი აბია რკინისა, სავლული მისი მძლე არის,
ზედ ჰკიდეან თალთის კაბანი, ოქროს ღილების ტყე არის.

ამირანი იქ ავიდა სადაც ყამარმა ასწავლა.

ამირანმა წიხლი ჩაჰკრა, შიგან ჩალეწა კარია.





ძებნა დაუწყო კაპანა იქაურობა ერია.
— ადე, ყამარო, ჩაიცვი, შორი გზა გვაქვს სავალია.

შემოისვა ყამარი თეთრონზე და გასწიეს. ყამარი ჩქარობს, ამირანმა ხუმრობით უთხრა:

ვაი იმ ცხენის ზედასო, რაზეც ყამარი ჯდებაო,
ქვეშია, ფეხის ფლოქვზედა ნალები დაუცვდებაო,
ზემია, ასალ ხავებზე ხელ ტყავი გადაძვრებაო,
შეგვაწუხდება თეთრონი, ვეღარ გადევილით მთასაო.

ცოტა გზა რომ გაიარეს, საშინელი ქარი ამოვარდა.
გროგალი ატყდა. ამირანმა აიხედა მაღლა და თქვა:
— ამ ცაში კი არაფერი ნიშნებია და ამ მიწის პირზე
რაღა აშბავიაო. კარგა გზა გაიარეს და დაუშვა წვიმამაც.
ამირანმა კიდევ აიხედა ცაში და თქვა:
— დიდება შენთვის, ღმერთო, წელან ცა ვათვალიერე,
საეჭვო არ იყო და ახლა საიდან მოვიდა წვიმაო.
— ეგ ქარი მამაჩემის ლაშქრის ფეხის მტვერიაო, — უპასუხა
ყამარმა, — ეს წვიმა კიდევ დედაჩემის ცრემლია, ჩემს
დაკარგვაზე ტირისო. აჩქარდი, ამირან, აჩქარდიო, —
დაიჩქარა ყამარმა:

ამირან, გვალე-გვალესა, მეხლად გაქებენ მალესა,
აბრნი, უმბრნი და არაბნი ცხენს შესხდებიან ჩქარესა,
მალევე მოგვეწევიან, იმა გაგიწევენ ცხარესა,
მოგვეწევიან, დაგვხოცვენ, ცეცხლით დაგწვავენ თვალებსა.

ამირანმა დაამშვიდა ყამარი:

ამოდ, იარე ყამარო, გზათა ვერ დაპლევ რბენითა;
სიძნელე ბევრი შეგვხვდება, აუწერელი ენითა;
არცა ვარ ტყისა ხოხობი, მომინადირონ ქორითა,
არცა ვარ ჭალის კურდღელი, რომ დამიჭირონ მწევრითა, —
არცა ვარ ხისა ფურცელი, გადამიტანონ ქარითა!
მოვლენ და მეც აქ დავხვდები ამ ჩემის გორდა ხმლითა,
უსიპითა და ბადრითა, მესამით ამირანითა,
ხუყველას თავებს დავიჭრი საპურველია დანითა...
იმ მამიშენის ლაშქარსა, გაუმაძღარსა დამითა,





მარტო გავუხდე ჩხუბადა, მარტო ვეყოფი ომითა.

გამოვიდა ამირანი ზღვას, გამოიყვანა ყამარიც. მოდგა და
მოდგა მდევარი ჯარიც. ყამარის მამას ხომალდებით
გაიეხო ზღვის პირამდე, ლაშქარში ხელ ქოჯაბი და ეშმაკები
იყვნენ. ბადრს უთხრა ამირანმა: შეკაზმე, ძმაო, შენი
თეთრონი, შეჯექ. ჩადი და ნახე, რამდენი ხანი მოგელევა
ლაშქრის შემოვლამდე. ბადრის თეთრონი ისეთი იყო,
ერთი წლის სავალს ერთ დღეში გაირბენდა, ზღვა და
ხმელი იმისთვის ერთი იყო. ადგა ბადრი, შეკაზმა თავისი
თეთრონი, შეჯდა და ჩავიდა. დაარტყა ერთ ადგილას ისარი,
რომ იქვე მოსულიყო. გააქცია ცხენი, მაგრამ ეშმაკებმა
მოგლიჯეს ისარი და უკან გამოუდგნენ ბადრს. აჭენა
ბადრმა დიდხანს თავისი თეთრონი, მაგრამ ისართან მაინც
ვერ მივიდა, ბოლოს დაბრუნდა ამირანთან და უთხრა:

ცხრა დღე მივლია, ცხრა ღამე, გარსა ვერ შემომირბენია,
ამ ჩემი თეთრონისთვისა ოფლი არ შემიშრენია,
ამ ჩემი მათრახისთვისა ფერი არ შემირჩენია.

მერე შეჯდა ამირანი და ჩავიდა ჯარის დასათვალიერებლად.
დაარტყა ისარი და გააქროლა თეთრონი. მოცვივდნენ
ეშმაკუნები, დაებღაუჭნენ დარეჯანის ძის დამბულ ისარს,
მაგრამ ვერ ამოაძრეს. შემოურბინა ამირანმა ლაშქარს
ერთ წამიერ ხანს და მივიდა ძმებთან. უსიპს უთხრა:

— ჩადი, უსიპო იომე. მერე ჩვენც მოგეშველებით.
ჩავიდა ვაჟი უსიპი, ჩავიდა სახელიანი.

ჩავიდა და ჩაზომა სალაშქრო გზები, შეუტია ჯარს, იომა,
იბრძოლა, გაანახევრა ჯარი, მაგრამ თვითონაც იქ დადო
ვაჟკაცურად თავი. მოკლეს უსიპი. ამირანს გულმა გაუგო,
უსიპის თავს ჭირიაო, და ბადრს უთხრა:

ან ჩადი, ბადრო, ან ჩავალ, ან გამილესე ხმალია,
ჩავალ და ვეღარ ამოვალ, ვაიმე შენი ბრალია!

ამირანის წესი იყო, სადაც ომში ჩავიდოდა, ან გაიმარჯვებდა
და ან მოკვდებოდა. სირცხვილიანის შინ მისვლას,